



ადმონსკლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოებას ფორუმის
საკანონმდებლო ეროვნული პლატფორმა



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 19 აგვისტო, 2014 წელი

დრო: 11:00 – 13:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ტიფლის დეველოპმენტი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე - ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისი;
3. ირინა ფუტყარაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - საზოგადოებრივი დამცველი;
4. ოლეგ შატბერაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - ასოციაცია "ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის";
5. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი";
6. თამაზ ვაშაკიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი;
7. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - ფონდი "სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი";
8. ლევან ბოჭორიშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო";
9. მიხეილ მირზიაშვილი - კრიზისის მართვის ინიციატივა

განსახილველი საკითხები:

- ❖ სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის ჩამოყალიბება - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლაშა ტულუშის და მიხეილ მირზიაშვილის წინადადებების პრეზენტაცია

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ისაუბრა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიური შეხვედრის შესახებ და საბჭოს წევრებს გააცნო ფორუმთან დაკავშირებული საკითხები.

კრიზისის მართვის ინიციატივის წარმომადგენელმა პრეზენტაცია გააკეთა თემაზე: „საქართველო - ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება და ასოცირების სამოქალაქო პლატფორმა“. ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე: ასოცირების შესახებ შეთანხმების ძირითადი მიმართულებები, მიზნები/ამოცანები და სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის შექმნა. მან წარმოადგინა სამოქალაქო პლატფორმის მოწყობის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული პლატფორმის სამდივნოს ფუნქციების გაფართოებას, რაც გულისხმობს მიმართულებათა ასისტენტებისა (ოთხი ან მეტი) და აღმასრულებელი მდივნების პოზიციების დამატებას.

ეროვნული პლატფორმის სამდივნოს მიმართულებათა ასისტენტების ფუნქციას მოიპოვოს საკურატორო სფეროში ასოცირების ხელშეკრულების აღსრულების შესახებ ინფორმაცია, მოამზადოს ანგარიში/მიმოხილვა/ ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფებისათვის და სამუშაო ჯგუფებთან კონსულტაციით მოამზადოს რეკომენდაციები.

ეროვნული პლატფორმის სამდივნოს აღმასრულებელი გენერალური მდივნის ფუნქციაა უხელმძღვანელოს სამდივნოს მუშაობას, მოამზადოს ანგარიში/მიმოხილვა პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოსათვის. საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული რეკომენდაციები მოამზადოს ასოცირების საბჭოსათვის წარსადგენად. ასევე, საბჭოსათვის მოამზადოს წინადადებები კონკრეტულ საკითხებზე მოლდოვას, უკრაინისა და სხვა ქვეყნების ნაციონალურ პლატფორმებთან თანამშრომლობის შესახებ.

ეროვნული პლატფორმის სამდივნოს აღმასრულებელი მდივნის ფუნქციაა იყოს პლატფორმის მეკავშირე ასოცირების კომიტეტსა და ასოცირების საპარლამენტო კომიტეტებში, ასევე ევროპულ სტრუქტურებში.

კრიზისის მართვის ინიციატივის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ პლატფორმას უნდა ჰქონდეს მუდმივი წარმომადგენლობა ბრიუსელში სამდივნოს მიმართულებათა ასისტენტებისა და აღმასრულებელი მდივნების როტაციით (2-3 თვე).

ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სამოქალაქო საზოგადოების (სს) პლატფორმის ფორმირების ხედვა. მას მიაჩნია, რომ სს პლატფორმის საფუძველი უნდა იყოს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა, რომელიც სს პლატფორმაში წარმოდგენილი იქნება საკოორდინაციო საბჭოს სახით.

საკოორდინაციო საბჭო მიიღებს ინფორმაციებს და რეკომენდაციებს მიაწოდებს ასოცირების საბჭოს, რომელიც თავის მხრივ განიხილავს შეთავაზებულ წინადადებებს. ერთობლივი შეხვედრა გაიმართება წელიწადში ერთხელ.

საკოორდინაციო საბჭო მუდმივ დიალოგში იქნება ასოცირების კომიტეტთან, ინტენსიური შეხვედრები ჩატარდება, მინიმუმ წელიწადში ოთხჯერ.

საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი იქნება ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც გააკონტროლებს ნორმატივების მიღებას, დირექტივების იმპლემენტაციას და ა.შ.

ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მთავრობასთან მემორანდუმის გაფორმება, წელიწადში ერთხელ ერთობლივი შეხვედრის (პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის დონეზე) ორგანიზება და მუდმივი კოორდინაცია. მინისტრის დონეზე შეხვედრის გამართვა ევროინტეგრაციის სამინისტროსთან (სამ თვეში ერთხელ), რათა მოხდეს არსებული გამოწვევების და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, ასევე ასოცირების შეთანხმების ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება სხვადასხვა სამინისტროებთან.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია